# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №EU/ST/08

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია - 25 იანვარი, 2011 წელი, ქ. თბილისი

<u>ერთის მხრივ</u>, სსიპ *„საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“* (მისამართი: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, საიდენტიფიკაციო კოდი 211327580, საბანკო რეკვიზიტები: ბანკი „რესპუბლიკა“ საბანკო კოდი 220101757, ა/ა 102531545506) (შემდგომში – „შემსყიდველი“) და

*<u>მეორეს მხრივ</u>, საპროექტო-სამშენებლო კომპანია სს „ხური“* (მისამართი: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №92, საიდენტიფიკაციო კოდი 212678397, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს *„თიბისი ბანკის“* ქუთაისის ფილიალი, საბანკო კოდი №220101888, ანგარიშის ნომერი 20467476) (შემდგომში – „მიმწოდებელი“) შორის.

## 1 ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 შემსყიდველი გამარტივებული შესყიდვის გზით ევროკავშირის გრანტით (№TACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდამჭერი პროექტის“ ფარგლებში ახორციელებს ეპიდზედამხედველობის რეგიონალური ლაბორატორიების მშენებლობისათვის საავტორო ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვას საერთო თანხაზე 2,000.00 (ორი ათასი) ლარი.

1.2 ხელშეკრულების ღირებულება არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადს.

1.3 შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 29 ივნისის წერილი №21-15-14040/01 საფუძველზე 1.1 პუნქტში მითითებული პროექტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

## 2 მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

2.2 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს გაწეული სამუშაოების ღირებულება.

2.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## 3 მომსახურების მიწოდების ვადები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2011 წლის 25 იანვრიდან 2011 წლის 2 მარტამდე.

## 4 მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მის მიერ მომზადებულ ანგარიშს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ.

4.2 მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით;

4.3 მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტი იძლევა გაწეული სამუშაოების ღირებულების მოთხოვნის საფუძველს.

## 5 ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანი ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში ლარში.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 6 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.03%-ის ოდენობით.

6.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

## 7 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 31 მარტის ჩათვლით.

## 8 ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, დაუძლეველი ძალის ზემოქმედება და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 9 ინსპექტირების პირობები

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად და მის დასრულებისას განახორციელოს ინსპექტირება, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

9.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი: ცენტრის შესყიდვების მენეჯერი ლელა შანიძე და ცენტრის სამშენებლო სამუშაოების კოორდინატორი გიორგი ბიჭიაშვილი. ინსპექტირების ჯგუფი უზრუნველყოფს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას და გაწეული მომსახურების (მთლიანი ან/და ნაწილობრივი) მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას დადგენილი წესის შესაბამისად.

## 10 სხვა პირობები

10.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.

10.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველ მხარესთან.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველის“ სახელით

სსიპ *„საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“*

მისამართი: ქ. თბილისი, 0160,
ალ. ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი
საიდენტიფიკაციო კოდი 211327580
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი „რესპუბლიკა“
საბანკო კოდი 220101757
ანგარიშის ნომერი 10253154506

იანე ყაჭიური
აღმასრულებელი დირექტორი

ბ. ა.

„მიმწოდებლის“ სახელით

*სამრეწველო-სამშენებლო კომპანია სს „ხური“*

მისამართი: ქ. ქუთაისი,
თამარ მეფის ქ. №92,
საიდენტიფიკაციო კოდი 212678397.
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს *„თიბისი ბანკის“*
ქუთაისის ფილიალი.
საბანკო კოდი №220101888.
ანგარიშის ნომერი 20467476

დავით მელქაძე
დირექტორი

ბ. ა.